აჭარის
ტელევიზია
და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

დანათი N1

დამტკიცებულია
მაუწყებლის დირექტორის
2017 წლის 18 სექტემბრის N02-09/216

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების დოკუმენტი

ვაცნობიერებთ რა, რომ მედიის როლი არჩევნების და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაში ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან მიუკერძოებელი გაშუქება საარჩევნო სუბიექტებს საკუთარი გზავნილების მოქალაქეებამდე მიტანის შესაძლებლობას აძლევს, ამომრჩეველს კი ეხმარება გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი კანდიდატების საქმიანობის, საარჩევნო პროგრამის და სამომავლო გეგმების გაცნობის შემდეგ.

დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ ღია სახელმძღვანელო წესებს.

წინამდებარე დოკუმენტი ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსს," „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას", „ მედიის წინასაარჩევნო ქცევის კოდექსს",„მაუწყებელთა ქცევის კოდექსს" „საზოგადოებრივი მაუწყებელის ქცევის კოდექსს" „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესს" და იმ წესებს, რომელსაც ეს დოკუმენტი განსაზღვრავს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (შემდგომში „მაუწყებელი") ქმნის თანაბარ პირობებს არჩევნების ზუსტი, მიუკერძოებელი და სამართლიანი გაშუქებისთვის.

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების სრულყოფილად გაშუქებას მაუწყებელი უზრუნველყოფს ტელე, რადიო და ინტერნეტპლატფორმების (www.ajaratv.ge www.radioajara.ge სოციალური ქსელები) მეშვეობით.

დასახული მიზნის მისაღწევად მაუწყებელი:

- ✓ **ახალი ამბების გამოშვებაში სათანადო დრო დაუთმობს საარჩევნო კამპანიის გაშუქებას**
- ✓ **აუდიტორიას შესთავაზებს სპეციალიზებულ საარჩევნო გადაცემებს - დებატებსა და დისკუსიებს პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მონაწილეობით**
- ✓ **უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლებას. მიაწვდის ამომრჩევლებს ამომწურავ ინფორმაციას არჩევნების მნიშვნელობის, საარჩევნო პროცედურების და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ**
- ✓ **ხშირად და ვრცლად გააშუქებს ამომრჩეველთა მოსაზრებებს მიმდინარე მოვლენებსა და აქტუალურ საკითხებზე**
- ✓ **ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს არჩევნების გაშუქების საკუთარ განრიგს და წესებს: რა, როგორ და რატომ შუქდება საარჩევნო კამპანიის დროს**
- ✓ **მაუწყებლის მიზანია სიღრმისეულად გააშუქოს პარტიების, მერობისა და გამგებლობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები, რომელიც მაუწყებლის მიერ, წინასწარ განსაზღვრული 10 საკითხის ჭრილში, წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ეთერში განიხილება.**

- ✓ მაუწყებელი პირდაპირ ეთერში გააშუქებს კვალიფიციური სუბიექტების კანდიდატთა წარდგენას
- ✓ მაუწყებლის ახალი ამბების სამსახური, თანაბრად და მიუკერძოებლად გააშუქებს საარჩევნო სუბიექტების ყოველდღიურ საარჩევნო აქტივობას საკუთარი სარედაქციო გადაწყვეტილების შესაბამისად

სატელევიზიო პლატფორმა:

1. „ახალი სივრცე“ ირინა ყურუასთან ერთად

გადაცემა საარჩევნო ფორმატში მაუწყებლის პირდაპირ ეთერში კვირაში სამჯერ: ოთხშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს გადაიცემა.
2017 წლის 14 სექტემბერს ჩატარებული წილისყრის შედეგად (წილისყრის ვიდეოჩანაწერი ინახება მაუწყებლის არქივში) განისაზღვრა საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამების წარდგენის თარიღი. მაუწყებელი სუბიექტებს პრეზენტაციებისთვის თანაბარ საეთერო დროს 30 წუთს დაუთმობს.
პროგრამების პრეზენტაციების თარიღები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

23 სექტემბერი	27 სექტემბერი	28 სექტემბერი	30 სექტემბერი
N -5 ნაციონალური მოძრაობა	N-6 რესპულიკელები	N-23 ახალი ქრისტიან დემოკრატები	N-27 გიორგი ვაშაძე
N-41 ქართული ოცნება	N-3 კუკავა თავისუფალი საქართველო	N-31 თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა	N-4 გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა
N-8 პატრიოტთა ალიანსი	N-2 უგულავა, ევროპული საქართველო	N-20 შენების მოძრაობა (უსუფაშვილი)	N-10 ლეიბორისტები
N-1 სახელმწიფო ხალხისთვის	N-18 ტრადიციონალისტები		

ამასთანავე „ახალი სივრცე“ დაეთმობა აჭარის რეგიონის ექვსივე საარჩევნო ოლქში მერობის კანდიდატების დებატებს შემდეგი თანმიმდევრობით:

5 ოქტ	ქობულეთის მერობის კანდიდატები -120 წუთი
7 ოქტ	ხელვაჩაურის მერობის კანდიდატები -120 წუთი
11 ოქტ	ქედის მერობის კანდიდატები - 120 წუთი
12 ოქტ	შუახევის მერობის კანდიდატები -120 წუთი
14 ოქტ	ხულოს მერობის კანდიდატები -120 წუთი
18 ოქტ	ბათუმის მერობის კანდიდატები -120 წუთი
19 ოქტ	წინასაარჩევნო კამპანიის პროცესის შეჯამება -120 წუთი

2. „ფაქტორი“ რუსუდან აბაშიძესთან ერთად

„ფაქტორი“ კიდევ ერთი პოლიტიკური ტოქ -შოუა, რომელიც კვირაში ორჯერ: პარასკევს და კვირას, 22 საათზე მაუწყებლის პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

გადაცემა საარჩევნო სუბიექტების პარტიული სიის პირველი ნომრების დებატებს დაეთმობა, რომელთა რიგითობაც წილისყრით შემდეგნაირად განისაზღვრა:

29 სექტემბერი	ქობულეთი		
I ბლოკი	II ბლოკი	III ბლოკი	IV ბლოკი
N-20 შენების მოძრაობა (უსუფაშვილი)	N-27 გიორგი ვაშაძე	N- 6 რესპუბლიკელები	N-8 პატრიოტთა ალიანსი
N-10 ლეიბორისტები	N-1 სახელმწიფო ხალხისთვის	N-5 ნაციონალური მოძრაობა	N-31 თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზა
N-3 კუკავა თავისუფალი საქართველო	N-18 ტრადიციონალისტები	N-4 გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	N-2 უგულავა ევროპული საქართველო
N-23 ახალი ქრისტიან დემოკრატები	N-41 ქართული ოცნება		

1 ოქტომბერი	ხელვაჩაური		
I ბლოკი	II ბლოკი	III ბლოკი	IV ბლოკი
N-27 გიორგი ვაშაძე	N-23 ახალი ქრისტიან დემოკრატები	N-10 ლეიბორისტები	N-6 რესპუბლიკელები
N-1 სახელმწიფო ხალხისთვის	N-5 ნაციონალური მოძრაობა	N-20 შენების მოძრაობა (უსუფაშვილი)	N-3 კუკავა თავისუფალი საქართველო
N- 41 ქართული ოცნება	N-8 პატრიოტთა ალიანსი	N-18 ტრადიციონალისტები	N-31 თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზა
N-4 გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	N-2 უგულავა-ევროპული საქართველო		

6 ოქტომბერი	ქედა		

I ბლოკი	IIბლოკი	IIIბლოკი	IVბლოკი
N-27 გიორგი ვაშაძე	N-41 ქართული ოცნება	N-23 ახალი ქრისტიან დემოკრატები	N-10 ლეიბორისტები
N-1 სახელმწიფო ხალხისთვის	N-2 უგულავა ევროპული საქართველო	N-6 რესპუბლიკელები	N-8 პატრიოტთა ალიანსი
N-5 ნაციონალური მოძრაობა	N-18 ტრადიციონალისტები	N-3 კუკავა თავისუფალი საქართველო	N-31 თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა
N-20 შენების მოძრაობა (უსუფაშვილი)	N-4 გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა		

8 ოქტომბერი	შუახევი		

I ბლოკი	IIბლოკი	IIIბლოკი	IVბლოკი
N-3 კუკავა თავისუფალი საქართველო	N-4 გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	N-18 ტრადიციონალისტები	N-10 ლეიბორისტები
N-6 რესპუბლიკელები	N-1 სახელმწიფო ხალხისთვის	N-8 პატრიოტთა ალიანსი	N-27 გიორგი ვაშაძე
N-20 შენების მოძრაობა (უსუფაშვილი)	N-23 ახალი ქრისტიან დემოკრატები	N-5 ნაციონალური მოძრაობა	N-31 თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზა
N-41 ქართული ოცნება	N-2 უგულავა ევროპული საქართველო		

13 ოქტომბერი	ხულო		

I ბლოკი	IIბლოკი	IIIბლოკი	IVბლოკი
N-6 რესპუბლიკელები	N-41 ქართული ოცნება	N-4 გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	N-3 კუკავა თავისუფალი საქართველო
N-2 უგულავა ევროპული საქართველო	N-8 პატრიოტთა ალიანსი	N-10 ლეიბორისტები	N-20 შენების მოძრაობა უსუფაშვილი
N-23 ახალი ქრისტიან დემოკრატები	N-27 გიორგი ვაშაძე	N-31 თავისუფლება- ზვიად გამსახურდიას გზა	N-5 ნაციონალური მოძრაობა
N-1 სახელმწიფო ხალხისთვის	N-18 ტრადიციონალისტები		

15 ოქტომბერი	ბათუმი		

I ბლოკი	IIბლოკი	IIIბლოკი	IVბლოკი
N-4 გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	N-31 თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზა	N-3 კუკავა თავისუფალი საქართველო	N-6 რესპუბლიკელები
N-1 სახელმწიფო ხალხისთვის	N-10 ლეიბორისტები	N-18 ტრადიციონალისტები	N-5 ნაციონალური მოძრაობა
N-2 უგულავა ევროპული საქართველო	N-8 პატრიოტთა ალიანსი	N-41 ქართული ოცნება	N-23 ახალი ქრისტიან დემოკრატები
N-27 გიორგი ვაშაძე	N-20 შენების მოძრაობა (უსუფაშვილი)		

რადიო პლატფორმა:

1. „ქალი და არჩევნები“ - თამილა დოლიძესთან ერთად

გადაცემა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა და აჭარის რადიოს ერთობლივი პროექტია. თემატური რადიოგადაცემა კვირაში ერთხელ, ოთხშაბათს რადიოს ეთერში 17:10 საათზე გავა. გადაცემის ავტორი და წამყვანია თამილა დოლიძე. გადაცემა აშშ განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერაა მომზადებული. ტოქ-შოუს მთავარი თემა ქალების თვითმმართველობის არჩევნებში ჩართულობაა.

2. "კომპეტენტური პასუხი" - მაია ვარშანიძესთან ერთად

საარჩევნო ფორმატში გადადის აჭარის რადიოს საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემა "კომპეტენტური პასუხი".
კვირაში სამჯერ რადიოსმენელს საშუალება მიეცემა FM 104.5 - ზე არჩევნებში მონაწილე, კვალიფიციური და არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლებისგან საარჩევნო პროგრამა მოისმინონ. რამდენიმე ეთერი დაეთმობა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებსა და პარტიული სიის პირველ ნომრებს. "კომპეტენტურ პასუხში" მონაწილე ყველა პოლიტიკურ სუბიექტს თანაბარი საეთერო დრო დაეთმობა. თითოეულ გადაცემაში მონაწილე პარტიები წილისყრით შეირჩევიან. ამის შესახებ რადიომსნელებს ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება.

ვებ პლატფორმა:

ამომრჩევლის სრულად ინფორმირების მიზნით, მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ajaratv.ge გაჩნდა სპეციალური ველი „არჩევნები 2017," სადაც ამომრჩევლებს შეუძლიათ გაეცნონ საარჩევნო სუბიექტების პროგრამებს და მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია არჩევნებში მონაწილე სუბიექტების და კანდიდატების შესახებ.
განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება რადიოს ვებ გვერდის www.radioajara.ge

ახალი ამბები და წინასაარჩევნო დებატების ნახვა დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ ჩვენი სოციალური ქსელების მეშვეობით. FACEBOOK LIVE რეჟიმში კვლავაც ხელმისაწვდომი იქნება მაუწყებლის გადაცემები.

ვეთანხმებით მოლოდინს, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, მოქალაქეები კი არიან ვალდებულნი, მოითხოვონ სამართლიანობა, დაბალანსებულობა და მიუკერძოებლობა, იცოდნენ, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება მედიის მიმართ განაპირობებს მათთვის აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების განმავლობაში მაუწყებელი გააფართოებს დაინტერესებულ პირთა წრეს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, გამოთქვამთ მზაობას, არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი ღიად განვიხილოთ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.